



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 29

28/03/2017

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 26-ე მუხლის პირველი პუნქტის , 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის , ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. 2016 წლის 29 მარტს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, ვ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წელს დამატებით განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ილია ყუფარძე - გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

2. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ
მომხსენებელი: ილია ყუფარძე - გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

3. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ
მომხსენებელი: ალიკო იობიძე - გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

4. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ
მომხსენებელი: გელა ჩოგოვაძე - გამგეობის ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის

5. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ
მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის

6. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ
მომხსენებელი: მანანა გოფომე - გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი

7. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ზახტაძე



საკრებულოს თავმჯდომარე